დამტკიცებულია

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის

რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

უსაფრთხოებისა და

წესრიგის დაცვის მექანიზმები (წესი)

2025

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში (შემდგომში – „აკადემია“) დასაქმებული პირების, პროფესიული სტუდენტების, მსმენელებისა და აკადემიის ტერიტორიაზე მყოფი ვიზიტორების უსაფრთხოების და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს.
1.2. წესის მიზანია, უსაფრთხო, ჯანმრთელი და წესრიგის დაცვაზე ორიენტირებული სასწავლო-სამუშაო გარემოს შექმნა, რაც მოიცავს როგორც პრევენციულ, ისე რეაგირების ღონისძიებებს.

მუხლი 2. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმები

2.1.აკადემია უზრუნველყოფს:

ა) აკადემიის კუთვნილი ქონების დაცვას;
ბ) აკადემიის ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფას;
გ) პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას აკადემიის შენობა-ნაგებობაში და მის ტერიტორიაზე მყოფი ნებისმიერი პირისთვის, რომელიც საჭიროებს აღნიშნულ დახმარებას;

დ) აკადემიის შენობა-ნაგებობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დახმარებას გადაადგილების დროს (ასეთების არსებობის შემთხვევაში);
ე) უსაფრთხოების წესების, შრომის უსაფრთხოების სტანდარტების და შინაგანაწესის დაცვას;
ვ) საჭიროების შემთხვევაში შენობაში, მყოფთა დროულ და უსაფრთხო ევაკუაციას;
ზ) გარემოს უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

მუხლი 3. უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები

3.1. აკადემიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმა და სხვა წესრიგის დაცვის მანიშნებლები.
3.2. აკადემია აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემითა და ინვენტარით (ცეცხლმაქრები, სახანძრო სიგნალიზაცია), რომელთა გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია შესაბამის თვალსაჩინო ადგილას.
3.3.აკადემიას დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყოფილი ჰყავს დაცვის სპეციალისტი, რომელიც ვალდებულია, განახორციელოს დროული და ეფექტური რეაგირება წესრიგის დარღვევებზე და უზრუნველყოს დაწესებულების მატერიალური ფასეულობების დაცვა; ასევე დამატებით, გაფორმებულია ხელშეკრულება დაცვის მომსახურების პროვაიდერთან.
3.4. შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული კაბინეტები, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა.
3.5. აკადემიაში ფუნქციონირებს შრომის უსაფრთხოების სამსახური, რომელიც ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს და უსაფრთხო გარემოს მონიტორინგს.
3.6. საგანგებო სიტუაციებში პასუხისმგებელი პირები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ გამოიძახონ შესაბამისი სამსახურები (112, სახანძრო, სასწრაფო დახმარება, პოლიცია).
3.7. რეგულარულად ტარდება თანამშრომლებისა და სტუდენტების ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების წესების, ევაკუაციისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების შესახებ.
3.8. ორგანიზებულია პირველადი გადაუდებელი დახმარების პუნქტი ან/და დაკომპლექტებულია პირველადი დახმარების სამედიცინო ყუთები.
3.9. პერიოდულად ხორციელდება უსაფრთხოების სისტემებისა და ინვენტარის ტექნიკური ინსპექტირება.
3.10.ტარდება ევაკუაციის სავარჯიშოები, არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

3.11.მოქმედებს ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი, რომელშიც ფიქსირდება უსაფრთხოებასთან ან წესრიგთან დაკავშირებული ყველა შემთხვევა.
3.12.საგანგებო სიტუაციაში ინფორმაციის სწრაფად გავრცელებისთვის აკადემია იყენებს ხმის სიგნალებს, ელექტრონულ შეტყობინებებს ან სხვა ეფექტურ კომუნიკაციის მექანიზმებს.

მუხლი 4. პასუხისმგებლობები და დავალებების გადანაწილება
4.1. რექტორი უზრუნველყოფს წესრიგის დაცვის მექანიზმების ეფექტურ ფუნქციონირებას და საჭირო რესურსების გამოყოფას.
4.2. შრომის უსაფრთხოების სამსახური პასუხისმგებელია რისკების იდენტიფიკაციასა და პრევენციულ ღონისძიებებზე.
4.3. ადმინისტრაციული პერსონალი ვალდებულია უზრუნველყოს წესრიგის დაცვის მოთხოვნების შესრულება შესაბამის სივრცეებში.
4.4. ყველა თანამშრომელი და პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია დაიცვას უსაფრთხოების წესები და დაუყოვნებლივ აცნობოს პასუხისმგებელ პირს საფრთხის ან ინციდენტის შესახებ.

მუხლი 5. წესის საჯაროობა და გაცნობის ღონისძიებები
5.1. აკადემია უზრუნველყოფს წინამდებარე წესის საჯაროდ ხელმისაწვდომობას — აკადემიის ვებგვერდზე;
5.2. წესის მოთხოვნებთან გასაცნობად ტარდება რეგულარული საინფორმაციო შეხვედრები და ინსტრუქტაჟები.

მუხლი 6. გარდამავალი დებულებები

6.1. აკადემიის უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები მტკიცდება და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა ფორმდება რექტორის ბრძანებით.
6.2. წესი ძალაში შედის მისი დამტკიცების დღიდან და შესასრულებლად სავალდებულოა აკადემიის ყველა დასაქმებული, სტუდენტის/მსმენელის და ვიზიტორისათვის.